მეოთხე მოსაზრება საქართველოს შესახებ

შეჯამება

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი

მიღებულია 2024 წლის 7 თებერვალს

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ACFC/OP/V(2023)2

გამოქვეყნდა 26/06/2024

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის სამდივნო
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg Cedex
France

www.coe.int/minorities

სარჩევი

რეზიუმე **4**

რეკომენდაციები დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის 5

I. საკვანძო დასკვნები **7**

მონიტორინგის პროცესი 7

არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა 7

დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის გაცემულ რეკომენდაციათა შესასრულებლად მიღებული ზომების შეფასება 8

სხვა რეკომენდაციათა შესასრულებლად მიღებული ზომების შეფასება 9

III. დასკვნები **11**

რეკომენდაციები დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის 11

სხვა რეკომენდაციები 12

რეზიუმე

მთლიანობაში, ქართული საზოგადოება კვლავაც ღია და პატივისცემით განწყობილია ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ. საქართველოში, ზოგადად, უმცირესობების უფლებათა დაცვის მხარდამჭერი გარემოა. მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა გამოწვევებით აღსავსე კონტექსტს, რასაც ახლდა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული სერიოზული გავლენა ჯანმრთელობისა და ეკონომიკის კუთხით, კონფლიქტები რეგიონში, რუსეთის ფედერაციის აგრესია უკრაინის მიმართ 2022 წლის თებერვლიდან და ის ფაქტი, რომ საქართველო ვერ ახორციელებს ეფექტიან კონტროლს მის კუთვნილ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან უწყვეტი უკანონო ოკუპაციისა და შეიარაღებული ძალების ტერიტორიაზე უკანონო ყოფნის შედეგად. ამავე მიზეზით, მონიტორინგმა ვერ მოიცვა ეს ტერიტორიები და ამ არეალში მცხოვრებ უმცირესობათა მდგომარეობა. ამასთან, ევროპული ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდა და ამჟამად საქართველო წინ მიიწევს ევროკავშირის წევრობისაკენ.

მართალია, ზოგადად, სურათი პოზიტიურია და ასევე გასაგებია რთული გარემოებები, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ჩარჩო კონვენციის დანერგვა უწევთ, მაგრამ მაინც საჭიროა მეტი მოქმედება მათი მხრიდან, ურთიერთპატივისცემის გარემოს ხელშესაწყობად და დიალოგისათვის საზოგადოების ყველა წევრს შორის. ამასთან, საჭიროა ძალისხმევის მიმართვა იმისაკენ, რომ მოსახლეობამ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები აღიქვას და მიიღოს თანასწორად, საქართველოს საზოგადოების განუყოფელ და ღირებულ ნაწილად. რელიგიურ უმცირესობათა მდგომარეობა შემაშფოთებელია, რადგან მოუგვარებელია არაერთი პრობლემა, რომელიც მათ წინაშეა. კერძოდ, საქმე ეხება საბჭოთა პერიოდში კონფისკირებული რელიგიური ქონების, ასევე, შედარებით ბოლო პერიოდში, თვითნებურად და დაუსაბუთებლად მითვისებული რელიგიური ქონების რესტიტუციას. ასევე პრობლემურია სალოცავი ადგილების ეფექტიანი ხელმისაწვდომობა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პრივილეგირებული სტატუსი ქართულ საზოგადოებასა და ქართველთა ცნობიერებაში კვლავ შეშფოთების საბაბს იძლევა, რამდენადაც იწვევს დისკრიმინაციას ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა რელიგიის თავისუფლების კუთხით და, ამასთან, მნიშვნელოვნად უშლის ხელს სოციალურ ინტეგრაციას, რაც ეფუძნება ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა მიღებას საქართველოს განუყოფელ და ღირებულ ნაწილად. ასევე, მოსახლეობის უმრავლესობასა და ხელისუფლებაში არ იცვლება ტენდენცია, ზოგიერთ რელიგიურ თემსა და ეროვნულ უმცირესობაში ხედავდეს უშიშროების საფრთხეს.

საქართველოს მოქალაქეობაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურად რჩება ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლისათვის, რაც, უმეტეს შემთხვევაში, გამოწვეულია მკაცრი ენობრივი მოთხოვნებით და სხვა პრაქტიკული ბარიერებით. უფლებებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა გადაუჭრელ საკითხად რჩება, განსაკუთრებით, ქართული ენის არცოდნის გამო. მიუხედავად ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა კულტურისა და იდენტობის აღსანიშნავი ხელშეწყობისა, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში უმცირესობათა კულტურის წვლილს უმრავლესობა სათანადოდ არ აღიარებს. აუცილებელია გრძელვადიანი საბაზისო დაფინანსება, შესაფერისი შენობების გამოყოფა, განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება რიცხობრივად უფრო მცირე ჯგუფებზე და მიზანმიმართული დაფინანსება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლისა თუ რეკონსტრუქციისათვის.

ხელისუფლება არ იშურებს ძალისხმევას უმცირესობათა ენებზე და სახელმწიფო ენის სწავლებისათვის, თუმცა ბევრი გამოწვევა კვლავ სახეზეა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და ენების სასწავლო პროგრამათა შინაარსი კვლავ სპორადული და უკმარია. სახელმძღვანელოები უმცირესობათა ენებზე და უმცირესობათა ენისა და ლიტერატურისათვის ისევ უმეტესად სხვა ქვეყნებიდან შემოდის, ვიდრე ადგილობრივად საქართველოში იქმნება და იბეჭდება. სასწავლო-საგანმანათლებლო მასალები დაბალი ხარისხისაა, ასევე, არასაკმარისია სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო საფეხურის მასწავლებელთა ადეკვატური გადამზადება. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის სექტემბრიდან შემუშავდა და ეტაპობრივად ინერგება ორენოვანი სწავლების მოდელი, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დაცვასთან სრული შესაბამისობით თუ დაინერგება, გაკვალავს გზას განათლების სფეროში რიგი პრობლემების

მოგვარებისაკენ, ასევე, უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების ხელმისაწვდომობას, მათ შორის, მათ ეფექტიან მონაწილეობას ცხოვრების ყველა სფეროში.

ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო და რელიგიათა საბჭო, რომლებიც სახალხო დამცველის ეგიდით მუშაობენ, კვლავ რჩებიან მთავარ მამოძრავებლად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვისათვის ხელისუფლებასთან ოფიციალურ დიალოგში. მიუხედავად ამისა, ეს ყოველმხრივ მრავალასპექტიანი ორგანოები, ვერ ქმნიან სისტემურ და ოფიციალურ საკონსულტაციო მექანიზმს. ასევე შემაშფოთებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა არასაკმარისი და არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა საფეხურზე. საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს ეფექტიან მექანიზმებს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის, მათ შორის, ქალებისათვის, რათა სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილნი საარჩევნო ორგანოებში. ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა მონაწილეობა საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ასევე დაბალ დონეზეა, რაც სათანადო ზომების გატარებას საჭიროებს.

რეკომენდაციები დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის:

- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, გადადგას ყველა შესაძლო ნაბიჯი 2024 წელს დაგეგმილი მოსახლეობის მომდევნო აღწერის ეფექტიანად მოსამზადებლად. მათ შორის იგულისხმება აღწერის ახალი ფორმის მიღება და საჯაროდ გავრცელება. ეს ფორმა ან მონაცემთა შესაგროვებელი ნებისმიერი სხვა ფორმა უნდა მოიცავდეს შესაძლებლობას, პირმა განაცხადოს სხვადასხვაგვარი მიკუთვნებულობის შესახებ, ამასთან, ეთნიკურობასა და ენასთან დაკავშირებული კითხვების შესაძლო პასუხთა ნუსხა უნდა იყოს ღია და არასავალდებულო. საჭირო იქნება აღწერის მნიშვნელობაზე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის წარმართვა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა შორის, იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. ხელისუფლებამ აღწერის ინტერვიუერებად უნდა დაიქირავოს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები. მან ასევე უნდა უზრუნველყოს აღწერის ყველა ინტერვიუერის სათანადო მომზადება, რათა რესპონდენტები ენდობოდნენ აღწერას და შეეძლოთ თავისუფლად განაცხადონ თავიანთი პასუხები, რომლებიც სიზუსტის დაცვით ჩაიწერება.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, მიიღოს ქმედითი, მიზანმიმართული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზომები იმისათვის, რომ უპასუხოს უთანასწორობას, რის წინაშეც არიან ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები, კერძოდ კი, სომხები, აზერბაიჯანელები, ქისტები და ბოშები. ეს უნდა გაკეთდეს მდგრადად, სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ქალებთან ერთად. ხელისუფლება მონიტორინგს უნდა უწევდეს და აფასებდეს ამგვარი ზომების შედეგებს ყველა დონეზე.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, გაატაროს ზომები და გააძლიეროს ძალისხმევა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, რათა გაზარდოს ნდობა, ურთიერთპატივისცემა და გაგება ყველა უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა მიმართ, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობებით მთლიანად მოსახლეობაში. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ცოდნა უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობაში, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს, ვისთვისაც უმცირესობები და მათდამი მიკუთვნებული პირები უნდა აღიქმებოდნენ, როგორც ქართული საზოგადოების განუყოფელი და ღირებული ნაწილი. კვლავ აუცილებელია ხელისუფლების აქტიური ძალისხმევა, რათა წინ აღუდგნენ უმცირესობათა და მათდამი მიკუთვნებულ პირთა მიმართ არსებულ წინასწარ განწყობებსა და სტერეოტიპებს, ასევე, ზოგიერთ უმცირესობაში უშიშროების საფრთხის დანახვას.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სალოცავ ადგილებზე ეფექტიანი წვდომა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა და უმცირესობათა რელიგიების მიმდევართათვის, ასევე, მათი ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა ამ მიზნით. გადაწყვეტილებები ახალი სალოცავი ადგილების აშენებისა ან მიკუთვნების შესახებ უნდა მიიღებოდეს დროულად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად, შესაბამისი თემების

წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით. ხელისუფლებამ ყოველგვარი შემდგომი დაყოვნების გარეშე უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობებისა თუ სხვა რელიგიური თემებისათვის თვითნებურად და დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია ან კომპენსაცია, ყველა დაკავშირებულ მხარესთან კონსულტაციებით.

- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავდეს ეფექტიან მექანიზმებს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის, მათ შორის, ქალებისათვის, რათა ისინი სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილნი არჩევით და აღმასრულებელ ორგანოებში ყველა დონეზე, იმისათვის, რომ მათ შეძლონ საზოგადოებრივ საქმეებში სრულყოფილი მონაწილეობა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაატარონ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, რათა აამაღლონ ცნობიერება მათი პოლიტიკური მონაწილეობის უფლებაზე.

I. საკვანძო დასკვნები

მონიტორინგის პროცესი

1. მეოთხე ციკლის მოსაზრება საქართველოს მხრიდან ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ მიღებულია ჩარჩო კონვენციის 26(1) მუხლისა და მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის (2019)49 25-ე წესის შესაბამისად. დასკვნები ეფუძნება ხელისუფლების ორგანოების მიერ 2022 წლის 31 ივლისს წარდგენილ მეოთხე სახელმწიფო ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას, ასევე, სხვა წერილობით წყაროებსა და მრჩეველთა კომიტეტის მიერ სამთავრობო თუ არასამთავრობო კონტაქტებისაგან მიღებულ ინფორმაციას, თბილისში, ახალქალაქში, დუისსა და მარნეულში 2023 წლის 15-19 მაისს წარმართული ვიზიტისას თუ მის შემდეგ.

2. მრჩეველთა კომიტეტი გამოხატავს მადლიერებას ხელისუფლების ორგანოების მიმართ არაჩვეულებრივი თანამშრომლობისათვის ვიზიტამდე, ვიზიტის პროცესში და მას შემდეგ; ასევე, სხვა საკონტაქტო პირების მიმართ, ვისაც კი შეხვდა ვიზიტის მანძილზე ძალიან ღირებული მონაწილეობისათვის. მოსაზრების პროექტი, რომელიც მრჩეველთა კომიტეტმა დაამტკიცა 2023 წლის 12 ოქტომბერს, გადაეგზავნა საქართველოს ხელისუფლებას 2023 წლის 18 ოქტომბერს, რეზოლუციის (2019)49 37-ე წესის შესაბამისად. მრჩეველთა კომიტეტი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან 2023 წლის 21 დეკემბერს მიღებულ მოსაზრებებს.

3. მრჩეველთა კომიტეტი მიესალმება იმ ფაქტს, რომ მესამე მოსაზრება გადაითარგმნა ქართულად, მაგრამ გამოთქვამს წუხილს, რომ არც მესამე მოსაზრება და არც შემდგომი, მისგან გამომდინარე რეზოლუციები, არ თარგმნილა უმცირესობათა ენებზე.

4. მრჩეველთა კომიტეტი აფასებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ორგანიზება გაუწიეს არაერთ შეხვედრას ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობით. თუმცა არ გამართულა არცერთი საგანგებო საპასუხო შეხვედრა, მრჩეველთა კომიტეტის მონაწილეობით. მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, ორგანიზება გაუწიონ შემდგომ საპასუხო შეხვედრას, მეოთხე ციკლის წინამდებარე მოსაზრების გამოქვეყნების შემდეგ. იგი მიიჩნევს, რომ ყველა დაკავშირებული მხარისათვის სასარგებლო იქნება შემდგომი დიალოგის გამართვა, მოსაზრებაში მოცემული დაკვირვებებისა და რეკომენდაციების განსახილველად.

5. 2018 წლის აპრილის შემდეგ, ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა გაიღო რეგიონში სიმშვიდისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. კერძოდ, 2018 წელს დასაბამი მიეცა ფართომასშტაბიან გეგმას, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებთან კონტაქტის, გადაადგილებისა და ურთიერთობის წასახალისებლად. ამ გეგმით ხელისუფლება მიზნად ისახავდა, გაეუმჯობესებინა ჰუმანიტარული მდგომარეობა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ არიან სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ და აღედგინა ურთიერთნდობა გამყოფი ხაზების ორივე მხარეს. სამშვიდობო ინიციატივა მოიცავდა ვაჭრობის გამარტივების მცდელობას, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებიდან ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, ამ რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების წახალისებას, ესწავლათ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ. იმის გამო, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთი ოსეთი საქართველოს ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლის მიღმა რჩება, მრჩეველთა კომიტეტს არ შეეძლო მიემართა მათთვის რაიმე სახის რეკომენდაციით, ამ რეგიონებში ჩარჩო კონვენციის დანერგვასთან მიმართებით. თავის დასკვნებში მრჩეველთა კომიტეტი იტოვებს შესაძლებლობას, უპასუხოს საჭირბოროტო საკითხებს იმ პირებთან მიმართებით, ვინც ექცევა ჩარჩო კონვენციის დაცვის ქვეშ ამ რეგიონებში. ის კვლავ იმეორებს თავის მოწოდებას ყველა დაკავშირებული მხარისადმი, იმოქმედონ კონსტრუქციულად იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეფექტიანი წვდომა ეროვნულ უცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებებზე, როგორც ადამიანის უფლებათა განუყოფელ ნაწილზე, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნივერსალურად მოქმედებს.

არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა

6. საქართველოს აქვს მოქნილი და ღია მიდგომა ჩარჩო კონვენციის გამოყენების ფარგლებთან მიმართებით. საქართველოს საზოგადოება ეთნიკურად მრავალფეროვანია და მოიცავს უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, რომლებიც მოსახლეობის 13,2%-ს შეადგენენ, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახად.

7. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს უწევდა, გამკლავებოდა რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან შემოსული ადამიანების დიდ ნაკადს. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის კვალად, 2022 წლის თებერვლის შემდეგ, უკრაინის ომს გამოქცეული, დაახლოებით, 48 000 ადამიანი შემოვიდა საქართველოში. მათგან თითქმის 35 000-მა მალევე დატოვა ქვეყანა, ევროპის სხვა ქვეყნების მიმართულებით. ამას გარდა, მთავრობის მონაცემები აჩვენებს, რომ 2022 წლის ოქტომბრიდან, 110 000 რუსზე მეტი ჩამოვიდა საქართველოში სხვადასხვა მიზეზით. მრჩეველთა კომიტეტი დადებითად აფასებს ხელისუფლების ძალისხმევას, გამკლავებოდა ამ ნაკადს.

8. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება კარგად განვითარებულია და თამაშობს მნიშვნელოვან როლს, ზოგადად, ადამიანის უფლებათა და, კონკრეტულად კი, უმცირესობათა უფლებების დაცვაში. მისი ძლიერება გამოვლინდა ასევე მასობრივ პროტესტში, რასაც - ფართომასშტაბიან საერთაშორისო კრიტიციზმთან ერთად - მოჰყვა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაწვევა საპარლამენტო პროცედურიდან 2023 წლის მარტში. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, შეშფოთებას იწვევდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა ნებისმიერი ორგანიზაციის რეგისტრაციას „უცხოურ აგენტად“, თუკი ის უცხოეთიდან იღებდა თავისი დაფინანსების 20%-ზე მეტს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაეკისრებოდა სერიოზული ჯარიმა, კერძოდ კი, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით. კანონპროექტი ასევე ბადებდა დიდ შიშსა და უნდობლობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რომლებიც ლაპარაკობდნენ კონტროლის მექანიზმების გაზრდაზე, როგორიცაა ფარული ოპერაციები ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მათი საქმიანობის მიმართ.

9. მონიტორინგის ამ ციკლის მანძილზე, მიიღეს გარკვეული ზომები, რომლებიც, სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს უმცირესობებს მიკუთვნებულ ადამიანებზე, თავიანთი უფლებების ეფექტიანად გამოყენების კუთხით. ხელისუფლების მიდგომა ეფუძნება თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებები ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. ამ მიზნით, ხელისუფლებამ შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი, მკაფიო და მრავლისმომცველი მიზნებით - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“. ეს სტრატეგია არის ორი დოკუმენტის გაგრძელება - „ეროვნული კონცეფცია შემწყნარებლობასა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა“ და „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ 2015-2020 წლებისათვის. მრჩეველთა კომიტეტი დადებითად აფასებს ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლება აღიარებს არსებულ პრობლემებს უმცირესობათა უფლებების სფეროში; ასევე, მათ ძალისხმევას, გამოასწორონ ეს პრობლემები სტრატეგიის განხორციელების გზით, რის შესახებაც ვიზიტის მსვლელობისას განაცხადეს. პოლიტიკის საკითხების სათანადო ანალიზი, მონიტორინგი და შეფასება საკვანძოა თანასწორი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. ჩარჩო კონვენციის დებულებები, წინამდებარე მოსაზრებაში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან ერთად, გამოდგება სახელმძღვანელო პრინციპებად, რომლებსაც სათანადოდ უნდა მისდიონ ხელისუფლების ორგანოებმა. ამ პროცესში აუცილებელია უმცირესობათა წარმომადგენლების ეფექტიანი მონაწილეობა, მათი განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის გაცემულ რეკომენდაციათა შესასრულებლად მიღებული ზომების შეფასება

10. დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის გაცემულ რეკომენდაციათა შესასრულებლად მიღებული ზომები მნიშვნელოვნად აძლიერებს სახალხო დამცველის მანდატს, რომელიც ახლა უფლებამოსილია, მიმართოს კერძო პირებს ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნით და განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საჩივრები. თუმცა, საკმარისად არ შესრულებულა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა რელიგიურ თემებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დაცვას.

ჯერ კიდევ პრობლემურად რჩება სალოცავი ადგილების ხელმისაწვდომობა და რელიგიური ქონების რესტიტუცია.

11. მართალია, კონკრეტულმა ზომებმა გაამარტივა განათლების ხელმისაწვდომობა, მაგრამ სწავლების ხარისხი უმცირესობათა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სკოლებში, მთლიანობაში, კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი. ამასთან, ზოგიერთი საგნის სწავლების ფარგლებში, მოსწავლეებსა და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის შესახებ, მაგრამ კურიკულუმში კვლავ უკმარია ეროვნულ უმცირესობათა - როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის - კულტურებისა და ისტორიის წილი.

12. სასწავლო მასალების ხარისხი უმცირესობათა და უმრავლესობის ენებზე პრობლემურად რჩება. ასევე შემაშფოთებელია იმ მასწავლებელთა მაღალ დონეზე პროფესიული განვითარების ნაკლებობა, რომლებიც უმცირესობათა ენებზე ასწავლიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, დაწყებით და საშუალო სკოლებში. ამ საკითხებზე რეაგირების თვალსაზრისით, მრჩეველთა კომიტეტი შენიშნავს, რომ ხელისუფლებამ დანერგა ორენოვანი საგანმანათლებლო მოდელი და დაიწყო მისი განხორციელება. მრჩეველთა კომიტეტი დაკვირვებით გაუწევს მონიტორინგს ამ პროცესს. მრჩეველთა კომიტეტი ასევე შენიშნავს „1+4“ პროგრამას, რომელიც უნივერსიტეტში მოწყობაში ეხმარება მათ, ვისთვისაც ქართული არ არის პირველი ენა.

სხვა რეკომენდაციათა შესასრულებლად მიღებული ზომების შეფასება

13. მომდევნო აღწერა ჩატარდება 2024 წელს. მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია, მაგრამ აღწერის ფორმა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. მრჩეველთა კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება 2014 წელს ჩატარებულ აღწერასთან დაკავშირებით, კერძოდ, თავისუფალი თვითიდენტიფიკაციის პრინციპის გამოყენებასთან მიმართებით, ასევე იმის გამო, რომ იგი არ იძლეოდა რამდენიმე კუთვნილების მითითების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებას გადაეცა კონკრეტული რეკომენდაცია. თუმცა, რამდენადაც 2024 წლის აღწერის ფორმა საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის (იგი გაუზიარეს შესაბამის ორგანოებს იმ ფორმით, როგორც ხელისუფლებამ წარადგინა), მრჩეველთა კომიტეტს არ შეუძლია შეაფასოს, რამდენად არის გათვალისწინებული მისი რეკომენდაცია. კომიტეტი მოელის, რომ მომდევნო აღწერის ფორმა იქნება შესაბამისობაში თავისუფალი თვითიდენტიფიკაციის უფლებასთან, რაც მოიცავს რამდენიმე კუთვნილების გაცხადების უფლებას. მოსახლეობის მომდევნო აღწერა შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებას, შეაგროვოს დისაგრეგირებული მონაცემები. ეს კი საშუალებას მისცემს მას, გამოავლინოს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა მდგომარეობა და, შესაბამისად, განავითაროს ადეკვატური პოლიტიკა.

14. მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაცია სახალხო დამცველის მთავარი ოფისის შენობის ქირის ოდენობასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ წარმატებით გაითვალისწინა. მართალია, აშკარაა გაღებული ძალისხმევა რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხორციელებასთან მიმართებით, კვლავ პრობლემურად რჩება სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების არაადეკვატური გამოძიება, როგორც ეს აღინიშნა მრჩეველთა კომიტეტის წინა რეკომენდაციაში.

15. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა შორეულ რაიონებში გაუმჯობესებულია. თუმცა ხელისუფლებისათვის კვლავ გამოწვევად რჩება ლინგვისტური უფლების განხორციელება, განსაკუთრებით, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციისას. ასევე გადაუჭრელი რჩება უმცირესობათა ენობრივი პოლიტიკის სუსტად გატარების პრობლემა იმ ტერიტორიებზე, სადა ტრადიციულად ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები ცხოვრობენ ან მჭიდროდ არიან დასახლებულნი.

16. დაბოლოს, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ცხოვრების ყველა სფეროში ეფექტიანი მონაწილეობის უფლებასთან მიმართებით, სამწუხაროა, რომ არ გაუთვალისწინებიათ მრჩეველთა კომიტეტის წინა რეკომენდაცია: ამ პირებისა და თემებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე ოფიციალური და სავალდებულო გახდეს პრაქტიკაში არსებული კონსულტაციები ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსა და რელიგიათა საბჭოსთან, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის ეგიდით მუშაობენ. „სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციისათვის

2021-2030“ ითვალისწინებს გარკვეულ გაუმჯობესებას ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა მონაწილეობის კუთხით საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ახლა ხელისუფლებისათვის საკვანძო მნიშვნელობა ექნება აღნიშნული სტრატეგიის სათანადოდ განხორციელებას.

***

17. წინამდებარე მოსაზრების მომდევნო ნაწილში არაფერია ნათქვამი ჩარჩო კონვენციის რიგ მუხლებზე. მრჩეველთა კომიტეტის ხელთ ამჟამად არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იგი მიიჩნევს, რომ ამ მუხლების შესრულება არ იძლევა განსაკუთრებული დაკვირვების საფუძველს. ეს განცხადება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მიანიშნებდეს, რომ უკვე მიღებულია ადეკვატური ზომები და ამ მიმართულებით ძალისხმევა უნდა შემცირდეს ან სულაც შეწყდეს. უფრო მეტად, მრჩეველთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებები ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევის მდგრადად გაღებას საჭიროებს. გარდა ამისა, საქმეთა არსებული ვითარება, რაც ამ ეტაპზე, შესაძლოა, მისაღებად ჩაითვალოს, არ ნიშნავს, რომ კვლავ დასაშვები იქნება მონიტორინგის მომდევნო ციკლში. დაბოლოს, შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში არასათანადოდ შეფასებული აღმოჩნდეს საკითხები, რომლებიც ამ ეტაპზე შედარებით ნაკლებად პრობლემურად მოჩანს.

III. დასკვნები

18. მრჩეველთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემაჯამებელი შენიშვნები და რეკომენდაციები გახდება რეზოლუციის საფუძველი, რომელსაც მიიღებს მინისტრთა კომიტეტი საქართველოს მიერ ჩარჩო კონვენციის განხორციელებასთან მიმართებით.

19. ხელისუფლებას ეძლევა წინადადება, გაითვალისწინოს მრჩეველთა კომიტეტის მეოთხე მოსაზრების I და II თავებში მოცემული დეტალური დაკვირვებები და რეკომენდაციები. კერძოდ, ჩარჩო კონვენციის შემდგომი შესრულების გასაუმჯობესებლად უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

რეკომენდაციები დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის:[1]

- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, გადადგას ყველა შესაძლო ნაბიჯი 2024 წელს დაგეგმილი მოსახლეობის მომდევნო აღწერის ეფექტიანად მოსამზადებლად. მათ შორის იგულისხმება აღწერის ახალი ფორმის მიღება და საჯაროდ გავრცელება. ეს ფორმა ან მონაცემთა შესაგროვებელი ნებისმიერი სხვა ფორმა უნდა მოიცავდეს შესაძლებლობას, პირმა განაცხადოს სხვადასხვაგვარი მიკუთვნებულობის შესახებ, ამასთან, ეთნიკურობასა და ენასთან დაკავშირებული კითხვების შესაძლო პასუხთა ნუსხა უნდა იყოს ღია და არასავალდებულო. საჭირო იქნება აღწერის მნიშვნელობაზე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის წარმართვა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა შორის, იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. ხელისუფლებამ აღწერის ინტერვიუერებად უნდა დაიქირავოს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები. მან ასევე უნდა უზრუნველყოს აღწერის ყველა ინტერვიუერის სათანადო მომზადება, რათა რესპონდენტები ენდობოდნენ აღწერას და შეეძლოთ თავისუფლად განაცხადონ თავიანთი პასუხები, რომლებიც სიზუსტის დაცვით ჩაიწერება.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, მიიღოს ქმედითი, მიზანმიმართული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზომები იმისათვის, რომ უპასუხოს უთანასწორობას, რის წინაშეც არიან ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები, კერძოდ კი, სომხები, აზერბაიჯანელები, ქისტები და ბოშები. ეს უნდა გაკეთდეს მდგრადად, სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ქალებთან ერთად. ხელისუფლება მონიტორინგს უნდა უწევდეს და აფასებდეს ამგვარი ზომების შედეგებს ყველა დონეზე.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, გაატაროს ზომები და გააძლიეროს ძალისხმევა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, რათა გაზარდოს ნდობა, ურთიერთპატივისცემა და გაგება ყველა უმცირესობას მიკუთვნებული პირის მიმართ, მათ შორის, ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობებით მთლიანად მოსახლეობაში. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ცოდნა უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობაში, რომელიც უმრავლესობას შეადგენს, რისთვისაც უმცირესობები და მათდამი მიკუთვნებული პირები უნდა აღიქმებოდნენ, როგორც ქართული საზოგადოების განუყოფელი და ღირებული ნაწილი. კვლავ აუცილებელია ხელისუფლების აქტიური ძალისხმევა, რათა წინ აღუდგნენ უმცირესობათა და მათდამი მიკუთვნებულ პირთა მიმართ არსებულ წინასწარ განწყობებსა და სტერეოტიპებს, ასევე, ზოგიერთ უმცირესობაში უშიშროების საფრთხის დანახვას.
- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სალოცავ ადგილებზე ეფექტიანი წვდომა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა და უმცირესობათა რელიგიების მიმდევართათვის, ასევე, მათი ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა ამ მიზნით. გადაწყვეტილებები ახალი სალოცავი ადგილების აშენებისა ან მიკუთვნების შესახებ უნდა მიიღებოდეს დროულად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად, შესაბამისი თემების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით. ხელისუფლებამ ყოველგვარი შემდგომი დაყოვნების გარეშე უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობებისა თუ სხვა

[1] რეკომენდაციები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც ჩარჩო კონვენციის შესაბამისი მუხლები.

რელიგიური თემებისათვის თვითნებურად და დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია ან კომპენსაცია, ყველა დაკავშირებულ მხარესთან კონსულტაციებით.

- მრჩეველთა კომიტეტი აჩქარებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავდეს ეფექტიან მექანიზმებს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის, მათ შორის, ქალებისათვის, რათა ისინი სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილნი არჩევით და აღმასრულებელ ორგანოებში ყველა დონეზე, იმისათვის, რომ მათ შეძლონ საზოგადოებრივ საქმეებში სრულყოფილი მონაწილეობა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაატარონ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, რათა აამაღლონ ცნობიერება მათი პოლიტიკური მონაწილეობის უფლებაზე.

სხვა რეკომენდაციები:[2]

- მრჩეველთა საბჭო მოუწოდებს ხელისუფლებას, ეფექტიანად შეასრულოს 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში დასახული ყველა პრიორიტეტული მიზანი. ხელისუფლების ორგანოებმა მონიტორინგი უნდა გაუწიონ სტრატეგიასა და მომდევნო ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებს, ასევე, შეაფასონ ისინი, უმცირესობათა წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციით, ასახონ რა უმცირესობებისა და სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნება. ამ მიზნით, მან, სხვა მოქმედებებთან ერთად, უნდა შეაგროვოს სანდო და დისაგრეგირებული თანასწორობის მონაცემები, თან, გაატაროს შემდგომი ღონისძიებები თუ აქტივობები. ასევე, გამოაქვეყნოს და აქტიურად გაავრცელოს ყველა ანგარიში, რომელიც შეეხება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულებას.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სტაბილური, მდგრადი, გრძელვადიანი საბაზისო დაფინანსება, რაც აუცილებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა კულტურისა და იდენტობის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის, მათ შორის, მოსახერხებელი შენობის გამოყოფის გზით და განსაკუთრებული აქცენტით რიცხობრივად პატარა უმცირესობებზე. გამოყოფის პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფექტიანი. ამასთან, პროცედურის ყველა ასპექტში გასათვალისწინებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა საჭიროებები და ინტერესები. ხელისუფლებამ ასევე უნდა გაითვალისწინოს საგანგებო ფონდების გამოყოფა ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, გაზარდოს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობის მხარდაჭერა, მათ შორის, ონლაინ და ბეჭდვითი მედიისა. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საჯარო მედიაში ეროვნულ უმცირესობათა და მათი ენების თვალსაჩინო არსებობა, მათ შორის, რიცხობრივად ცოტა უმცირესობების, ძირითადად, სატელევიზიო პროგრამების ხარისხისა და რაოდენობის გაზრდის გზით, მათზე მორგებული საჭიროებებითა და ინტერესებით, აგრეთვე მათ მიერ და მათთვის შემუშავებული შინაარსის მომატებით. უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები უნდა ინტეგრირდეს მეინსტრიმულ მედიაში.
- მრჩეველთა საბჭო მოუწოდებს ხელისუფლებას, ქართულ ენაზე ადგილთა დასახელებების აღდგენის კვალად, აღადგინონ ტრადიციულ ადგილთა სახელები უმცირესობათა ენებზეც. ხელისუფლებამ ასევე უნდა დაადგინოს სამართლებრივი საფუძველი და გამჭვირვალე პროცედურა უმცირესობათა ენებზე ტოპოგრაფიული სახელების შემოღებისათვის, რაც უზრუნველყოფს, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები ეფექტიანად ისარგებლებენ ამ უფლებით. ხელისუფლებამ ასევე უნდა აამაღლოს ცნობიერება ამ უფლების შესახებ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ ადამიანებს შორის იმ ტერიტორიებზე, სადაც ისინი ტრადიციულად დიდი ოდენობით ცხოვრობენ და შემდგომში ტოპოგრაფიული ნიშნები ამ ენებზე დაამაგრონ.

[2] რეკომენდაციები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც ჩარჩო კონვენციის შესაბამისი მუხლები.

- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა სასკოლო პროგრამებში, საგანამანათლებლო მასალებსა და მასწავლებელთა გადამზადების პროცესში ჩართული იყოს ინფორმაცია ეროვნულ უმცირესობათა, მათ შორის, რიცხობრივად მცირე ჯგუფების კულტურა, ტრადიციები, ისტორია, რელიგიები და ენები, როგორც საქართველოს მრავალფეროვანი საზოგადოების განუყოფელი და ღირებული ნაწილი. ზოგად განათლებაში ხელისუფლებამ ასევე უნდა აამაღლოს ცნობიერება უმცირესობათა უფლებების მნიშვნელობაზე, როგორც მთლიანად ადამიანის უფლებათა დაცვის განუყოფელ ნაწილზე.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, გააძლიეროს ძალისხმევა, რათა ხელი შეუწყოს ყველა დონის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული ყველა მოსწავლისა და სტუდენტისათვის, მათ შორის, მათთვის, ვინც სოფლად ცხოვრობს. ხელისუფლებამ უნდა გაზარდოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობა, განსაკუთებით, იმ სოფლებში, სადაც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები მჭიდროდ სახლობენ. ყველა პროგრამასა და გატარებულ ღონისძიებაზე აუცილებელია მჭიდრო კონსულტაცია უმცირესობათა წარმომადგენლებთან, ახალგაზრდების ჩათვლით, რათა სათანადოდ დაკმაყოფილდეს კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებები.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, შესაბამისი რეგიონების სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოს ქართული ენის სათანადო სწავლება და, ამავდროულად, შეინარჩუნოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსული ენების გამოყენება ძირითად სასწავლო ენებად. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ორენოვანი სწავლების ახალი მოდელი ინერგებოდეს მრავალმხრივი მონიტორინგისა და უწყვეტი პროფესიული შეფასების ფონზე, შესაბამის უნცორესობებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კონსულტაციებით. ორენოვანი სწავლების მოდელის დანერგვას ასევე თან უნდა ახლდეს სათანადო სასწავლო მასალები, სწავლების მეთოდოლოგია და მასწავლებელთა ტრენინგები.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, უფრო მეტად შესთავაზოს თავიანთ ენაზე სწავლება რიცხობრივად ცოტა უმცირესობებს, როგორც ზოგადი სასწავლო პროგრამის ნაწილი დაწყებით და საშუალო დონეზე. მათ შორის, ფინანსურად წაახალისოს ამ უმცირესობებს მიკუთვნებული სტუდენტები, გადამზადდნენ და იმუშაონ მასწავლებლებად. უნდა განვითარდეს ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამები, კერძოდ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, აგრეთვე, მასწავლებელთა სწავლება საუნივერსიტეტო განათლების დონეზე. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შემდეგ სწავლა საშუალო განათლების საფეხურზე იმავე არეალში განაგრძონ, რაც ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, მკაფიოდ განსაზღვროს ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, რელიგიათა საბჭოსა და ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების როლი და უფლებამოსილებანი. ამასთან, სავალდებულო გახადოს ამ საბჭოებთან კონსულტაცია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის საჭირბოროტო საკითხებზე. ხელისუფლებამ დროული, გამჭვირვალე, ინკლუზიური და რეალური კონსულტაციები უნდა გაიაროს აღნიშნულ საბჭოებთან და მათი რეკომენდაციები სათანადოდ ასახოს შემდგომ გადაწყვეტილებებში. სრულად უნდა დაინერგოს 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიით დადგენილი პრიორიტეტები, რომლებიც შეეხება უმცირესობათა მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.
- მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეაგროვოს დისაგრეგირებული მონაცემები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით, დასაქმების, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურათა ხელმისაწვდომობის კუთხით. ამის საფუძველზე და ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებთან, მათ შორის, ქალებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უნდა შემუშავდეს პოზიტიური ღონისძიებები გამოვლენილ უთანასწორობათა აღმოსაფხვრელად, რათა აქტიურად შეეწყოს ხელი მათ

მონაწილეობას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლებამ ასევე მიზანმიმართული მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს უმცირესობათა ქალებსა და ახალგაზრდებს, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა მიიღოს მიზანმიმართული ზომები ბოშების მონაწილეობისათვის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორიცაა მოზრდილთა განათლების მეტი შესაძლებლობა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ჯანდაცვაზე უკეთესი წვდომა.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ეხმარება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, შეაფასოს ჩარჩო კონვენციის მხარეების მიერ მიღებულ ზომათა ადეკვატურობა, მასში დადგენილ პრინციპთა ასამოქმედებლად.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია მიიღო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1994 წლის 10 ნოემბერს და იგი ძალაში შევიდა 1998 წლის 1 თებერვალს. მასში დადგენილია პრინციპები, რომლებსაც უნდა იცავდნენ სახელმწიფოები და დასახულია მიზნები, რისკენაც უნდა ისწრაფოდნენ ისინი, რათა დაიცვან ეროვნული უმცირესობები. ჩარჩო კონვენციის ტექსტი, სხვა ენებთან ერთად, ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ასევე, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუმინულ, რუსულ, უკრაინულ და ბევრ სხვა ენაზე.

წინამდებარე მოსაზრება მოიცავს მრჩეველთა საბჭოს შეფასებას, საქართველოში მე-4 ვიზიტის შედეგად.

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE